ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მიმოხილვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების(მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	მეორე კვარტლის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	3 870.9	**5 175.2**
გადასახადები	794.5	**1 879.2**
გრანტები	1 148.7	**1 693.8**
სხვა შემოსავლები	1 927.7	**1 602.2**
ხარჯები	6 064,2	**3 584.7**
შრომის ანაზღაურება	1 091,8	**966.9**
საქონელი და მომსახურება	379,7	**337.1**
პროცენტი	55,0	**54.9** -
სუბსიდიები	1898,2	1 863.1
გრანტები	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	217,5	209.2
სხვა ხარჯები	2 422,0	153.5
საოპერაციო სალდო	-2 193.3	1 590.5

არაფინანსური აქტივების ცვლილება	555.4	413.2
ზრდა	570.4	457.0
კლება	15.0	43.8
მთლიანი სალდო	-2748.7	1 177.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2748.7	**1 177.3**
ზრდა		**3 927.2**
ვალუტა და დეპოზიტები		**3 927.2**
კლება		**2 749,9**
ვალუტა და დეპოზიტები		**2 749,9**
ვალდებულებების	0.0	**0**
ზრდა		**-**
საგარეო		**-**
საშინაო		**-**
კლება	0.0	**0**
საგარეო		**-**
საშინაო	0.0	**0**
ბალანსი	0.0	**0.0**

2018 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 2 749.9 ათას ლარს.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	პირველი კვარტლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება%-ში
შემოსულობები	**3 885.9**	**5 219.0**	**134,3%**
შემოსავლები	**3 870.9**	**5 175.2**	**133,7%**
არაფინანსური აქტივების კლება	**15.0**	**43.8**	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
გადასახდელები	**6 634,6**	**4 041.7**	**60,9%**
ხარჯები	**6 064,2**	**3 584.7**	**59,1%**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**570,4**	**457.0**	**80,1**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**0**	**0**	-
ნაშთის ცვლილება	**-2 748.6**	**1 177.3**	

2018 წლის 1 ივლისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 927,2 ათასი ლარი.

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 885.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 5 219,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 134.3 %-ს შეადგენს

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 3 870,9 ათასი ლარი ფაქტიურად 5 175,2 ათასი ლარით შესრულდა, გეგმის 133,7%-ი შეადგინა.

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1 879,2 ათასი ლარი, გეგმის 794.5 ათასი ლარის 236.5%-ს შეადგენს.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 1 693,8 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 1 148.7 ათასი ლარი,(147.5 %.) მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი _ 1 588,6 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 91,8 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი --13,4 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

შემოსავლები საკუთრებიდან სულ შემოსულია 1 533,4 ათასი ლარი. მათ შორის: **პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 7.0 ათასი ლარის, 165.7%. **რენტის** სახით მობილიზებულია 1 520,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 865.3 ათასი ლარი) 81.5%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1 518,4 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,4 ათასი ლარი. **დივიდენდები**--1,0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 32,2 ათასი ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 4,5 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 27,7 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 32,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (20.0 ათასი ლარი) _ 161.5% შეადგენს.

<u>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4,3 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 3,9 ათასი ლარი, ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 0,4 ათას ლარს.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 43,8 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 15.0 ათასი ლარის 292%. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 13,1 ათასი ლარი. 30,0 ათასი ლარი მიღებულია არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან, ხოლო 0,7 ათასი ლარი მიღებულია მიწაზე უფლების აღიარებიდან.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 6 634,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 041,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60,9 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 091,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 966,9 ათასი, გეგმის 88,6%.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 286,4 ათასი ლარი

ხელფასები 286,4 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 286,4 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 286,4 ათასი ლარი

2. გამგეობა: შრომის ანაზღაურება 631,4 ათასი ლარი

ხელფასები 631,4 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 631,4 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 631,4 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 49,1 ათასი ლარი

ხელფასები 49,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 49,1ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 42,0 ათასი ლარი

პრემია 7,1 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 379.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 337.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.8 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 79.2 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 10.0 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 2.8 ათასი ლარი; გამგეობა 6.8 ათასი ლარი, თავდაცვას 0,4 ათასი ლარი.
- ✓ ოფისის ხარჯები - 71.1 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 14.6 ათასი ლარი, გამგეობას 52.2 ათასი ლარი, თავდაცვას 3.8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოები 0,5 ათასი ლარი.
  წარმომადგენლობითი ხარჯები --5.2 ათასი ლარი.
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 107.4 ათასი ლარი.
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 64.2 ათასი ლარი.

,,პროცენტები"-ის მუხლიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 54,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 55,0 ათასი ლარის 99,8%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1898.2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1863.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.2 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 317.6 ათასი ლარი;

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 581.0 ათასი ლარი;
- განათლების სისტემის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება 8.3 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 297.6 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 567.5 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა --7.5 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 39.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 33.9 ათასი ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 217.5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 209.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.2 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 0,2 ათასი ლარი;
- დაკრძალვის ხარჯები - 0,3 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 0.8 ათასი ლარი;
- ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 11.9 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 131.2ათასი ლარი;
- დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება 4,4 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 60.4 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 422.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 153.5 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის 40,1 ათასი ლარი გაიხარჯა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დასაფინანსებლად, 0.8 ლარი გაიხარჯა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე; 64.6 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს: 3,2 ათასი ლარი დაიხარჯა საზოგადოებრივი და ახალზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე, ხოლო დანარჩენი 44,8 ათასი ლარი გაიხარჯა სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 288,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 426,2 ათასი ლარი) 90,4 % შეადგენს.

- თავდაცვის სფეროში გეგმა განსაზღვრული იყო 63,2 ათასი ლარით , ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 61,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,8 %.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იქნა 2 911,8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 522,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 17,9 %,

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 40,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,5%.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 912,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 896,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98,3 %.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 646,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 630,2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97,5 %, მათ შორის:

- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო

311,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 283,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90,9%.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 323,1 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 318,9 ათასი ლარი, გეგმის 98,7 %.

2017 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		მეორეკვარტლის გეგმა	მეორე კვარტლის საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	1 426.2	1 288.5
702	თავდაცვა	63.2	61.8
704	ეკონომიკური საქმიანობა,	2 911.8	522.8
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	323.1	318.9
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	40.0	39.8
708	-დასვენება და კულტურა,	912.0	896.2
709	განათლება	646.5	630.2
710	სოციალური დაცვა	311.8	283.5
	სულ ჯამი	**6 634,6**	**4 041,7**

სარეზერვო ფონდი

2018 წლის ექვს თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 29,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 27,2 ათას ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	პირველი კვარტლის გეგმა	პირველი კვარტლის საკასო შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 426,2	1 288,5
2	02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	63,2	61,8
3	03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	78,4	38,9
4	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	323,1	318,9
5	03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	376,9	274,5
6	(03 04)(03 09 02)	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	0	0
7	03 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	2 456,5	209,5
8	04 00	განათლება	646,5	630,2
9	05 01 04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	300,5	297,6
10	05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	591,5	582,5
11	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0	8,6
12	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0	7,5

13	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	40,0	39,8
14	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	1,0	0,4
15	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	62,5	43,0
16	06 02 04	ლტოლვილთა დახმარება	6,7	0,8
17	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	12,3	11,9
18	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	167,9	166,9
19	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	61,4	60,4
		სულ	**6 634,6**	**4 041,7**

პატივისცემით,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მაია გოგოლაძე